



ბრძანება N02-03/25

ბათუმი

27 ოქტომბერი 2017 წ.

**სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში  
წინასაარჩევნო პროცესების მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტების  
მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ**

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ (შემდგომში „მაუწყებელი“), მიმდინარე წლის 27 ოქტომბერს წერილობითი შეტყობინება (N04/3613-17; შიდა N02-19/01/414) მიიღო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისგან, რომლის თანახმადაც კომისია მაუწყებელს სთხოვს სამაუწყებლო ეთერის ყოველკვირეულ ჩაწერასა და კომისიაში წარდგენის უზრუნველყოფას.

წარმოდგენილ თხოვნას კომისია აფუძნებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ საქართველოში 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პროცესი არ არის დასრულებული, რადგანაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით რამოდენიმე მუნიციპალიტეტში იგეგმება განმეორებითი ტურის ჩატარება.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არსებობს მაღალი ალბათობა ქვეყნის მასშტაბით ზოგიერთ მუნიციპალიტეტში არჩევნების მეორე ტურის გამართვისა, აუცილებელია მაუწყებელში არსებული წინასაარჩევნო პერიოდის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტების მოქმედების ვადის გაგრძელება.

ზ/აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, ვხელმძღვანელობ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსისა“ და მაუწყებლის დებულების შესაბამისი ნორმებით,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“ გაგრძელდეს იმ სამართლებრივი აქტების მოქმედების ვადა, რომლებიც უკავშირდებოდა 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგი არჩევნების დადგენილი წესით გაშუქებას;
2. მაუწყებლის სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურს დაევალოს აღნიშნული ბრძანების შესრულების კონტროლი;
3. მაუწყებლის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურმა უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება სატელევიზიო და რადიო ეთერის უწყვეტი ჩაწერისათვის;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის დღემდე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ბათუმი, ს. ზუბალაშვილის 30) კანონით დადგენილი წესით და ვადაში.

ნათია კაპანაძე

დირექტორი

